ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №823643

ნომერი: AR1145870

თარიღი : 12.07.2013

გაცემის თარიღი : 02.08.2013

გაცნობის თარიღი : 02.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარი ხოფერია პ/ნ 01005011807
- ქ,,თბილისი მარცხენა სანაპირო 3/15

ორგანიზაცია:
- შპს"ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ" კოდი: 204522007

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით
დავალებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

შპს “ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ”-ს დირექტორმა თამარ ხოფერიამ 2013 წლის 12 ივლისს #AR1145870 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ.

თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილებების შეტანა საპროექტო მიწის ფართობის, კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 05 აგვისტოს ქ. თბილისში, მთაწმინდა–კრწანისის რაიონში, მდინარე მტკვარს, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1863.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: #1/18/5/8/5) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით გაიცა #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალება.

აღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20101 წლის 31 მაისის #2263 ბრძანებით შევიდა ცვლილება და მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა 2398.00 კვ.მ., ხოლო საკადასტრო კოდად მიეთითა: #01.18.05.008.085.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა (რეგისტრაციის #882013274597; მომზადების თარიღი: 19.06.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882012297047; მომზადების თარიღი: 02.07.12) თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 1855.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი: #01.18.05.008.140, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების შეტანას ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 01 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებისა და "ქალაქ თბილისის მერიის საჯარო იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო 2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 1855.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.18.05.008.140;
2. ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებას დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882013274597; მომზადების თარიღი: 19.06.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882012297047; მომზადების თარიღი: 02.07.12, საკადასტრო კოდი: #01.18.05.008.140);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 05 აგვისტოს #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.